

სადღესასწაულო წეს-განგება

ღირსისა მამისა ჩუენისა

სერაპიონ ზარზმელისა.

დიდ მწუხრსა ზედა.

- „მოვედით თაყვანის - ვსცეთ“ - იგალობება.
- „აკურთხევს სული ჩემი სული უფალსა“ (103 ფსალმუნი) - იგალობება.
- „ნეტარ არს კაცი“ - I კანონის I ანტიფონი.
- „უფალო ღალად - ვჰყავ“ (იგალობება V ჰმზუ).
- ღირსისა სერაპიონ ზარზმელისა - 8 მუხლი.

- ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერაპიონ, მოყუარეო ღმრთისაო და აღმასრულებელო საღმრთოთა მცნებათა მისთაო, უმეტესად ჯერ-არს ჩუენდა, რადათა ვისმენდეთ საკურველთა ამათ საქმეთა შენთა და ვადიდებდეთ ღმერთსა, რომელმან ესევეითარი მოგუმადლა ჩუენ მამად და მოძღუარი და ვკმობდეთ გიხაროდენსა, რამეთუ სახელი შენი აღწერილ არს ცათა შინა. ქრისტესა ევედრე აწ გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშჯდობად და დიდი წყალობად.

- ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერაპიონ, ანგელოზთა თანამზრახუალო და თანამყოფო და თანაზიარო წინადასწარმეტყუელთა, წმიდათა მოციქულთა და მოწამეთა და თანამკვდრო ნათელსა წარუალსა, რომელი ჰნათობ ბრწყინვალებითა საღმრთოდათა, რამეთუ წინაშე მისსა ჰსდგა განბრწყინვებული მადლითა კადნიერად და ყოვლადვე ხედავ მისსა მას დიდებასა და მარადის იშუებ მისთა მით სიკეთითა, ქრისტესა ევედრე აწ გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშჯდობად და დიდი წყალობად.

- ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერაპიონ, ვარსკულავო უდაბნოდსაო, ბრწყინვალებაო საღმრთოდსა სიყუარულისაო და განმანათლებელო მონაზონთაო, სუეტო შეურყეველო მოთმინებისაო, სიმტკიცეო და ძელო ეკლესიისაო, ლამპარო ყოვლადბრწყინვალეო და მნათობო ყოვლისა სოფლისაო, სათნოებათა საუნჯეო, რომელმან ქალაქ-ჰქმენ უქმი უდაბნოდ და ვითარცა სამოთხე ესე გამოაჩინე, ქრისტესა ევედრე აწ გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშჯდობად და დიდი წყალობად.

- ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერაპიონ, სიქადულო მონაზონთაო და სიმტკიცეო მართლისა სარწმუნოებისაო, სამებისა წმიდისა გამორჩეულო მსახურო, მოდასეო ანგელოზთაო, ქუეყანით ზეცად ამაღლებულო მონაზონთა წინამძღუარობითა, სასუფეველსა დამკვდრებელო, ანგელოზებრივ გალობითა ზეცისა მოქალაქეო, წმიდათა თანა გვრგვინოსნებითა ნათელსა შინა ღმრთისა ხედვითა განჰბრწყინვებულო და წმიდითა ლოცვითა შენითა მეოხო ყოველთა პატივისმცემელთა შენთაო, ქრისტესა ევედრე,

ქრისტესა ევედრე აწ გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშვიდობად და დიდი წყალობად.

- ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერაპიონ, ანგელოზთა თანა შეერთებულო ტაძარო საიდუმლოთაო, უფსკრულო გულისკმისყოფისაო, მხილველო გამოუთქმელთაო, მამაო მამათაო, თავო მონაზონთაო და წინამძღუარო განშორებულთაო, რომელი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იხარებ მრავლითა ბრწყინვალეობითა განათლებული და შემწე ხარ მვედრებელთა შენთათვის, ქრისტესა ევედრე აწ გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშვიდობად და დიდი წყალობად.

- სხუად დასდებელი ჳმა 2, ეჳა გვრგვზნო.

- ვითარიმე ქებისა გვრგვზნი შეუთხზნათ ქრისტეს ეკლესიისა სიმტკიცესა და ყოველთა განმაბრწყინვებელსა სწავლითა, ჳელმწიფეთა თვალუხუავად მამხილებელსა და ყოველთა შუამდგომელსა და შემწესა, ყოველთა ჳირვეულთა ნუგეშინისმცემელსა და ყოველთა განსაცდელსა შინა მყოფთა შესავედრებელსა, კეთილმსახურებისა სუეტსა, მორწმუნეთა წინამბრძოლსა, ყოვლადქებულსა სერაპიონს, რომლისა მიერ აღძრვანი მტერთანი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აჳუს დიდი წყალობად. **2-გზის.**

- ვითართა ქებისა საგალობელითა უგალობდეთ მსგავსად ღმრთივბრწყინვალისა ვარსკულავისა უდაბნოსა შინა დამკვდრებითა განბრწყინვებულსა, და ნერგსა სამოთხისასა, ნაყოფისა კეთილისა გამომღებელსა, დიდსა შემწესა და მოძღუარსა, და ყოველთა უკეთურთა და უდებთა მარცხუენელსა, რომლისათვისცა აღძრვანი მათნი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აჳუს დიდი წყალობად.

- ვითართა ქებისა გალობითა უგალობდეთ მწყემსსა და მოძღუარსა ივერიელთასა - ჳარზმის მონასტრის დააარსებელსა და ეკლესიათა აღმაშენებელსა და შემამკობელსა; რომელი მსგავსად მზისა გამოუჩნდა ერსა შენსა და განსწავლიდა ღმრთისა და მამულის სიყუარულითა, რომლისათვისცა მისსა მიმართ დაგვძს სასოებად ჩუენი, რადთა ერთობითა სარწმუნოებისადათა და სიყუარულითა აღვიარებდეთ, ვითარცა წინამძღვარსა და სიმტკიცესა ერისა ჩუენისასა, რომელსა აჳუს დიდი წყალობად.

- დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

- აწ განსცხრებოდეთ დღესასწაულის მოყუარენო, და ქებითა გალობისადათა უგალობდეთ და შევასხმიდეთ, მღდელთა სიქადულსა და ჳარზმისა დიდებასა, წყაროსა საკვრველებათასა და მორწმუნეთა დიდსა მეოხსა და შუამდგომელსა: გიხაროდენ, სამცხისა მცველო მიურულებელო და უქმთა უდაბნოთა ქალაქყოფელო; გიხაროდენ, სასანთლეო ყოვლადბრწყინვალეო, რომელმან კიდენი სოფლისანი განანათლენ საკვრველებითა; გიხაროდენ ჳირვეულთა საღმრთოო სიხარულო და განსაცდელთა შინა მყოფთა მჳურვალეო შუამდგომელო, ღირსო და საკვრველთმოქმედო მამაო სერაპიონ, დაუცხრომელად ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რომელნი სარწმუნოებითა და სიყუარულით პატივის-ვსცემთ მარადის სახარულევანსა და ყოვლადსანატრელსა ჳსენებასა შენსა. **(გზ 6).**

- აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

- ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძწ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოვსა გამოვიდა გამოუთქმელად ჯორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენტასა.*(გმ 6)*

- **შესვლა საცეცხლურით.**

- **წარდგომა დღისა.**

- **საწინაწარმეტყველო - 3 საკითხავი ღირსისა.**

1. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალთა სულნი ხელთა შინა ღმრთისათა...)

2. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალნი საუკუნოდ ცხოვნდეს. და უფლისა მიერ...) წერილ-არს, **მარტის 9-ს.**

3. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი (მართალი თუ აღესრულოს განსუენებასა შინა...) წერილ-არს **მაისის 7-ს.**

- **ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა - 1 მუხლი.**

- **ესრეთ ღირსისა თვით-ხმოვანი. კმა 2.**

- აღმოსცენდი რაჲ ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით ცხორებულთა, რომელნი ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ჰზრდიდეს გლახაკთა და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა კელის აპყრობასა და სიმშჯდით და სიმდაბლით იყოფვოდეს მსგავსად საწინაღწარმეტყუელოვსა სიტყუსა: „ვის მივხედნე, გარნა მშჯდსა და მდაბალსა“. რომელთა ესევეთარი გამოიღეს ნაყოფი, ვითარცა უფალი იტყოდა: „ვერ კელეწიფების ხესა კეთილსა გამოღებად ნაყოფისა ხენემისა“.

- გშვეს რაჲ სამნი ეგე ძენი მშობელთა და განიხარეს შვილთ-სხმისაგან, ვითარცა მეფსალმუნე დასწერს: „დედაჲ შვილთა ზედა სახარულევანი“, ნათლად გამომეყვანებელი თქუენი ნათლად წარუვალად მიიცვალა, გარნა აღზარდათ რაჲ მამამან თქუენმან კვპრიანე, აღესრულა და თქუენ დაშთით სამნივე ეგე ყრმანი, მსგავსად ბაბილოვნისა ყრმათა, და აღსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი სასოებდით მხოლოსა მას ღმერთსა.

- აღიღე ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყავ შენ, სამ-გზის სანატრელო, და დაუტევე რაჲ სოფელი წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა, თანა-გყავდა ძმაჲ მცირე ჰასაკითა, და შეჰვედრეთ თავი დიდსა მიქაელ პარეხელსა, ვითარცა მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი და აღზარდნათ თქუენ და აღგიყვანნათ სრულებად სათნოებისად.

- თანააღრაცხილ იქმენ რაჲ ძმითურთ დასსა მას მოწაფეთასა, ვითარცა მაგალითთა კეთილთა ხედევდით მოძღვარსა და მისმიერთა მადლთა მოღებითა აშენებდით საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა და ლერწამსა, არამედ ოქროსა,

ვეცხლსა და თუალთა ანთრაკთა, ხოლო მის მიერ შეყუარებულ იყვენით, ვითარცა კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი და აღასრულეთ რად ჟამი მრავალი წინაშე მისსა, ძალისაებრი აღიმრენით ზამკად დიდისა მის მოძღუარისა და მწყემსისა თქუენისა.

- მო-რად-იწია ჟამი, წმიდაო მამაო ჩუენო, ვითარცა ღირსი, ბრძანებითა მიქაელისითა სრულ იქმენ რად პატივითა მღდელობისადათა და ღირსებითა მსახურ საღმრთოდსა საკურთხეველისა, სამღდელოთა სამოსელითა შემკობილმან ღმრთივმშუენიერად ილუაწე სადიდებლად ღმრთისა. მას ევედრე აწ, რადთა გვკსნნეს ყოვლისაგან ჭირისა და ბოროტისა.

- იყო რა დიდი იგი მამად და მოძღუარი მიქაელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა, განკვრევადა დაეცა და აღიტაცა რად ზევად, ეტყოდა მას მღდელ-შუენიერად შემოსილი ჩუენებნასა შინა, რადთა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი, რომელ არიან სერაპიონ და ძმად მისი იოვანე მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისად და უჩუენებდა ნიშთა რათმე, თუ რომელსა ადგილსა პოონ, მივიდენ რა, სასწაული იგი და მუნ კელყონ აღშენებად მონასტრისად.

- მაშინ სიტყვსა წილ ცრემლთა სიმრავლჳ გარდამოადინე და ჰრქვი: „უკუეთუ სათნო არს, მამაო, წინაშე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემთჳს, რადთა არა განმამოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდასა პირსა შენსა“. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: „რადთა არა დააკლდე საღმრთოსა გვრგვნსა მორჩილთასა, ამიერ დააცადენ სიტყვსგებანი და მზა-ყავ თავი შენი სლვად გზათა და თანამოგზაურ შენდა-ყავ ძმად შენი იოვანე და ორნი ძმათა“.

- კურთხევითა მიქაელ პარეხელისადათა თანამოსაგრეთა თანა წარემართე სანახებსა მას სამცხისასა და თანაგეტვრთათ ცხოველი ხატი ფერისცვალებისად თანაშემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტეანეთა, ხოლო სლვასა მას თქუენსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდით, ვიდრემდის მოიწინეთ ადგილსა მას და იხილეთ, რამეთუ უდაბნოდ იყო და შეცვულ ტყეთა და ჳევთა, და პოვეთ რად ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, განიხარეთ, ვითარმედ არა ცუდ და ამო არს გზად იგი საჭიროებითა სლვისა თქუენისად.

- **დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა. ჳმად 7.**

- მაშინ საშუალ წყაროსა და ბორცუსა განამზადეთ ადგილი და აღეშენეთ მუნ მცირე ტალავარი, რომელი გექმნა თქუენ შემწყწარებელ უცხოებისა თქუენისა, და რადთა ცხოველი იგი ხატი თაყუანის იცემებოდის თქუენ მიერ მას შინა, ხოლო თანა-შეწევნითა სამცხის დიდისა მთავრისა, გიორგი ჩორჩანელისადათა აღაშენე რად უდაბნოსა შინა ეკლესიად ზარზმისად, საცხონებელად სულთა და საყუდებელად მრავალთა, მას შინა აღმართეთ ხატი იგი თაყუანის-საცემელად და სენთა და უძლურთა განმდევნელად და სულთა მრავალთა გამოსაჯსნელად.

- **აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

- გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყვსაო, გიხაროდენ, უზესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თვნიერ თესლისა

მშობელო, და თჳნიერ ხრწნილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.

- **სტიქარონსა ზედა დასდებელი.** (კმა 8).

- სიტყვთა და საქმით ადიდე ღმერთი დიდებული და მცნებათა მისთა იწურთიდ მარადის, დღისი და ღამით გონებითა წმიდითა, და ვითარცა სუეტი ნათლისაჲ, ბრწყინვალე ლოცვაჲ შენი აღიწეოდა ზეცას, სანატრელო მამაო სერაპიონ, გვთხოვე ქრისტესგან დიდი წყალობაჲ.

მუხლი. „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“.

- მოაკუდინე შენ გულისთქმაჲ და განაცხოველე სიწმიდჳ, და შეიყუარე წმიდა ქალწულებაჲ, და ვითარცა ნათელი, შთაიცი სიწმიდჳ, და ვითარცა გურიტი სიმშჳდით ჰმონებდი ქრისტესა გონებითა უბიწოდთა, სანატრელო სერაპიონ, შემკული საღმრთოდთა გულისწმის-ყოფითა.

მუხლი. „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“.

- შეგამკო ღმერთმან, ნათლითა სასწაულთაჲთა და მადლთა საღმრთოდთა ბრწყინვალეებითა, სამ-გზის სანატრელო სერაპიონ, და აღავსო სული შენი სიბრძნითა, და ვითარცა წყაროჲ ცხოველი და თუალი დაუწყუედელი აღმოაცენებ მოძღურებათა საღმრთოთა, აღორძინებისათჳს ქრისტეს სამწყსოსაჲთა.

- **დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

- სიმრავლჳ მონაზონთა წინამძღურად აღგიარებს, ღმერთშემოსილო მამაო, რამეთუ აღივსებიან საღმრთოდთა მით მადლთა, რომელ დაუტევე, და იშუებენ საკსენებელსა შენსა, თანამოსაგრეო წმიდათა მამათაო, მათ თანა ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა შეიწყალნეს მან სულნი ჩუენნი ოხითა შენითა.

- **აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

- უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-იღე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მადლისაო, ვედრებაჲ მონათა შენთაჲ შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებაჲ შეიწირე და გვთხოვე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

- **„აწ განუტევე“.**

- შემდგომად **„მამაო ჩვენო“**-სი:

- **ტროპარი - ღირსისა:** „უდაბნოსა მოქალაქედ და ჳორცითა ანგელოსად, და სასწაულთა მოქმედად გამოსჩნდი ღმერთ-შემოსილო მამაო წმიდაო სერაპიონ, მარხვითა, მღვიძარებითა და ლოცვითა მადლი ზეცით მოიღე, და ჳკურნებ უძღურთა სენთა და სულთა რომელნი სარწმუნოებით შენდა მოივლტიან. დიდება, რომელმან მოგცა შენ ძალი, დიდება, რომელმან გვირგვინოსან-გყო შენ, დიდება, რომელი იქმს შენ მიერ ყოველთა ზედა სასწაულთა“.(კმა 1).

- **ღვთისმშობელო ქალწულო - 1 გზის.**

- **პურის კურთხევა.**

დიდი ცისკარი:

- „**ღმერთი უფალი**“ (იგალობება I ჯმაზე).
- **ტროპარი ღირსისა:** „უდაბნოსა მოქალაქედ და ჯორცითა...“ - 2 გზის (გმა 1).
- „**დიდება**“ „**აწ და**“ - ღმრთისმშობლისა „**აღდგომის განსატევებელი**“ (ტროპარი ხმის მიხედვით): „გაბრიელ გიდალადა ქალწულსა გიხაროდენ, ხოლო ხმასა მას თანა განხორციელდა ყოველთა მეუფე შენ შორის წმიდასა მაგის კიდობანსა, ვითარცა ჰსთქუა მართალმან დავით, იხილვე უვრცელესი ცათა იტვირთე რა დამბადებელი შენი, დიდება რომლი დაემკვიდრა შენ თანა, დიდება რომელი გამოვიდა შენგან., დიდება რომელმან გაგვათავისუფლნა ჩვენ შობითა თვისითა შენგან“.
- **შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა.** (გმა 1).

ანგელოზთა მწყობრნი...

ცხორებად კეთილმსახურებით ქუეყანასა ზედა ადასრულე, და გამოსჩნდი კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, ღმერთშემოსილო მამაო სერაპიონ, და განანათლებ შენდამი მსწრაფლ მოღვთოვითა, აწ გამოაბრწყინვე გულსა ჩუენსა ნათელი ჭემმარიტი და მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად. 2-გზის.

- **დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

განეცხადების საიდუმლოდ საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვკმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

- **შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა.** (გმა 4).

განეცხადე დღეს...

ნათლითა ჰბრწყინავ შენ მიუახლებელითა, და ვითარცა ვარსკულავი გამობრწყინდი უდაბნოსა შინა კლარჯეთისასა და განამრავლენ სამწყსოდ ქრისტჳსი, ღირსო მამაო, ხოლო ვსენებისა შენისა აღმასრულებელთა კსნად გვთხოვე შეცოდებათა, ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარემან. 2-გზის

- **დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**
- ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწოო, წმიდაო, საღმრთოდასა სულისა მიერ მუცლად იღე და უხრწნელად ჰშევ, რომლისათვისცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.
- „**სადიდებელი**“ **მე-19 კანონი** (134-ე და 135-ე ფსალმუნები).

- **„გადიდებას“** ღირსისა (ფსალმუნთა გამოკრებილი მუხლებით - დავითნიდან).
- **„წარდგომა“** შემდგომად „სადიდებელისა“: **ჴმაჲ 8. სიბრძნე.**
- სიჩრდითგან განწმედილ-იქმენ შენ, მარადის საცსენებელო ღირსო სერაპიონ, ვითარცა ჴემმარიტად განათლებული, და ქუეყანასა ზედა, ვითარცა ანგელოზი იქცეოდი, რამეთუ ჴორცნი მოაკუდინე მოლუაწებითა და საღმრთოთა შურითა შენითა გამოსჩნდი სათნოდ სამებისა წმიდისა, რომლისათვისცა გუნდსა მონაზონთასა შეერთე და საწუთოთა შუებათაგან სიმაღლედ აღიყუანენ ერნი მორწმუნეთანი, ღმერთშემოსილო, ევედრე ჴრისტესა ღმერთსა ცოდვათა მოტევებისა მონიჭებად, სურვილით პატივის-მცემელთა კსენებისა შენისასა. **2-გზის.**
- **დიდებაჲ მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**
- თანა დაუსაბამოდ სიტყუად მამისად, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობელო, და უჴამო შემოვალს ჴამსა შინა და სიტყუად განზრქებოდის, ხოლო ძმ ღმრთისად ძედ შენდა იწოდების. ეჴა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოდ, იესუ ჴრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.
- **I ანტიფონი IV ხმისა (კვირის ცისკრისა).**

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთვის გევედრები: შემწე-მეყავ და მიკსენ სახიერ.

რომელთა გპულთ სიონი, სირცხვლეულ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განჴმული თივად შეგჴამნესთ გეენიამან.

დიდებაჲ მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცჴოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების და განჴბრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

- **წარდგომა (საცისკრო სახარებისა):** „პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“. (**ჴმაჲ 7.**)

მუხლი: „რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთვს, რომელი ესე მომაგო მე“.

- **საცისკრო სახარება: ლკ.24 დას. VI, 17-23.**
- **„დიდება“** - „მეოხებითა წმიდისა მამისა ჩვენისა გაბრიელისათა...“
- **„აწ და“** - „მეოხებითა ღვთისმშობელისათა, მოწყალეო...“
- **„მიწყალე მე ღმერთო...“** („მცირე მიწყალე“).
- **შემდგომად 50-ე ფსალმუნისა დასდებელი** - თვით-ჴმოვანი. **ჴმაჲ 6.**
- ყოველსა ქუეყანასა განხდა ჴმაჲ წარმართებისა შენისად, ქუეყანასა ზედა ანგელოზო და ცათა შინა კაცო ღმრთისაო, სოფლისა კეთილად განმამშვენებელო და სიტკბოებითა სახიერო, ღმრთივგანბრძნობილო მამაო სერაპიონ, ამისთვის ჴეცათა შინა ჴპოვე სასყიდელი შრომათა შენთად, და ეშმაკთა გუნდი წარსწყმიდე და ანგელოზთა წესსა

მიიწიე, რომელთა უბიწოდთა ცხორებითა სწორ-იქმენ, წმიდაო სერაპიონ, კადნიერებად გაქუს წინაშე ღმრთისა, მშჯდობად ითხოვე სულთა ჩუენთათჳს.

- „აცხოვნე ღმერთო ერი შენი...“

საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა).

- იკითხება 2 კანონი .

- I კანონი - ღმრთისმშობლისა (ძლისპირი 2-გზის) - 6 მუხლად (იხ. პარაკლიტონის ბოლოს ღმრთისმშობლის კანონები: `ეტლთა მფლობელი ფარაო...` ან `ქუეყანასა მწყურნებსა...`).

- II კანონი - ღირსისა (ძლისპირის გარეშე) - 8 მუხლად. *(ჳმად 1)*.

- **კატავასია**: რიგითი.

- **„უმცირესი“** - „უგალობდით უფალსა“.

გალობა 1, უგალობდითსა.

ძლისპირი: სასწაულითა იქსნა ერი უფალმან და ზღუაჲ მღელვარჳ სიტყვთ განაჳმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშუა ქალწულისაგან და წარმიძღუა ჩუენ ზეცად ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა უგალობდეთ.

ხატებაჲ საღმრთოდ სიჩჩოდთგან დაიმარხე ტრფიალებითა ჩუენთვის ჩჩვილ-ქმნულისაჲთა, იწყლა რაჲ გული შენი, ღმერთშემოსილო სერაპიონ, და ჰასაკისა თანა აღმადღებოდე ძალითი ძალად სულისა სრულებითა.

რტო ნაყოფიერი იქმენ შენ, ღმრთივგანბრძნობილო სერაპიონ, აღმოცენებულ ძირთაგან ღმრთისმსახურთა, და-რაჲ-ენერგე თანა წარსადინელსა საღმრთოთა წერილთასა, და გამოიღე ნაყოფად ტკბილად გულის-ჳმის-ყოფაჲ მათი.

აღძრვად ვნებათაჲ სიყრმიტგანვე დასთრგუნე ფერჳთა მათ ქუეშე სულისათა, ნეტარო სერაპიონ, და სიტკბოებაჲ საცნობელთა მლიქნელი, ყოვლად არა დაგიტკბა მოლოდებითა წარუალთა მათ ტკბილთა საშუებელთაჲთა, წმიდაო.

იწურთიდ სიყრმიტგან წიგნთა ღმრთივსულიერთა და აღიწიე თავსა სრულებათასა, რაჳამს გონებაჲ წმიდა-ყავ ვნებათაგან და სიწმიდითა სულისა შენისაჲთა ექმენ სავანე სულსა ყოვლად წმიდასა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დასაბამი სიბრძნისაჲ მოიგე, ღირსო, და შიშსა უფლისასა შემსჳვალენ შენ ჳორცნი, წმიდაო, და მიერ აღიწიე სიყუარულსა მას უშიშსა წმიდათასა და განჳბრწყინდი მადლითა ღმრთისაჲთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სული ჩემი დაცემული მრავალთა საღმობათაგან, ჳ, ღმრთისმშობელო ყოვლადდიდებულო, განჳკურნე, რაჲთა მადლობისა ჳმითა წადიერებით გადიდებდე შენ, მარადის.

გალობა 3, განძლიერდასა

ძლისპირი: ღმერთო, მოხედენ მონათა გალობასა და დაამდაბლე სიმაღლე მაცთურისად და ზესთა აღამაღლე დღეს ეკლესიად, და შეუშფოთებელად დაამტკიცენი მოსავნი შენნი მართლმადიდებლობასა.

იყავ მოწაფე დიდისა მის და განთქუმულისა მიქაელ პარეხელისა და ბრძანებითა საღმრთოთა მის მიერ უდაბნოსა წარივლინე, რადთა აღაშენო შესაკრებელი ცხოვართა პირმეტყუელთა.

ვითარცა ესმა მისლვად თქუენი მთავარსა მას, მპყრობელსა ყოველთა მათ სანახებთა და ადგილთასა, განიხარა და წამოემართა რად ხილვად, თქუენ მყის წინა მიგებნეთ მთავარსა მას, ვინამცა გარდაჰკდა საკედარსა და შეუვრდა ხატსა მას ცხოველსა, და თქუენ მიერ იკურთხა.

პირველად თაყუანის-ცა ცხოველსა ხატსა და მერმე წმიდათა პირთა თქუენთა, ხოლო შენ, სანატრელო სერაპიონ, აღივსე სულითა წმიდითა და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდი თაფლ-მწითოლვართა მით ენითა სწავლათა საღმრთოთა.

ვითარცა მდინარე ედემისად, აღმოგიწყაროდა ოქრო-ნაკადულით პირით შენით, რომლისათვისცა განკვრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშემდგომნი, რომელნი შეუვრდეს ფერკთა შენთა და გეტყოდეს: „ვითარცა ერთი მოციქულთაგანი, ქრისტემან მოგავლინათ მოლუაწედ ჩემდა, რამეთუ საქმენი ესე, რომელთა იტყვთ, არა წარემართებიან თვნიერ ჩემსა.

დიდება მამასა და მესა და წმიდასა სულსა.

შეუძლებელ უჩნდა რად მთავარსა ადგილთა მათ უქმთა და უღვაწთა აღშენებად მონატრისა, გვედრებოდათ ცვალებად ადგილისა“. ხოლო შენ მსგავსად მოციქულისა კმა-ყოფდი: „უკუეთუმცა ანგელოზი მახარებდა გარეშე მისსა, რომელი გუეხარა, არა გურწამს.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წინამსწარ გიხილა შენ, ბჭედ ნათლისად ეზეკიელ, რომელი განვლო მეუფემან, ვითარცა უწყის, ქალწულო უხრწნელო, ამისთვის გვედრები მე, განმიხუენ სინანულისა ბჭენი მიმყვანებელნი სასუფეველად.

- **შემდგომად „განძლიერდასა“ (III გალობისა):**

წარდგომად: განაბრწყინვე ჟამნი შენნი, სანატრელო, უდაბნოსა შინა ძლიერად მოლუაწებითა, რომლითა მიეახლე ბრწყინვალეობასა საღმრთოსა, მამაო სერაპიონ, და მოტევებად ცოდვათა ჩუენთა ურიცხვთად ქრისტეს მიერ გვთხოვე მედღესასწაულეთა კსენებისა შენისათა.

გალობა 4, უფალო მესმასა

ძლისპირი: პირველ აუწყა წინადასწარმეტყუელებით ცხორებად კაცთა ამბაკუმ და იტყოდა: რისხვასა შინა მოვიკსენი წყალობად, ჩრდილოთ მადნართათ მო-რად-ხუედ შენ, მაცხოარ, ერისა ამის სიტყუად დამბადებელი.

„შეუძლებელ არს, რათამცა ბრძანებასა საღმრთოსა წინა-განვეწყენით და ადგილი ესე სხუად ვცვალებთ, რამეთუ ნიშნი და უწყებანი ადგილსა ამას უწამებენ“, ესრეთ ეტყოდი მთავარსა, ხოლო მან მოუწოდა მსახურსა და რქუა: „ვინათგან ადგილსა ამას წადიერ არიან, გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე რაოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა.

თავადი იგი ღმრთისმოყვარე გეტყოდათ: „გულ-ჰყრობილ იყვენით, ვითარმედ თანაშემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ ყოვლითა ძალითა“. და აუწყებდა ყოველთა, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებდით მონასტერსა საბრძანებელსა მას შინა ჩორჩანელთასა.

მაშინ ფრიად განიხარეთ და მადლობად აღუარეთ მთავარსა მას, ვინადაცა ღამე იგი კლდესა მას ზედა განათია, და ხილვად ანგელოზისად იხილა, რომელი განაძლიერებდა და გულს-მოდგინებით შრომად უბრძანებდა.

დიდება მამასა და ძისა და წმიდასა სულსა.

მაშინ შექმნენ შენ ორნი ჯუარნი, წმიდაო, და კლდესა მას ზედა აღმართნე სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთასა, სად იგი მცირე ეგუტერიცა აღეშენა, და ნიშნი და კურნებანი სნეულთანი იქმნებოდეს წმიდათა მათ მთავარანგელოზთა საღმრთოდასაგან მადლისა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ქალწულმან ჰშევ და დედობრივ არა განიხრწენ, არამედ დედა იქმენ, და ქალწულადვე ჰგე, რომლისათჳსცა გიგალობთ, გიხაროდენ, ღმრთისმშობელო.

გალობა 5, ღამითგანსა

ძლისპირი: საცთურთა ბნელთა ღამისათა შენდობად მოხვედი შენ, ქრისტე, ამსთობილნი შევსწირავთ შენდა გალობასა, ვითარცა ღირს-ხარ, რათა წარმიძლუნ გზასა მშვედობისასა, შესულად სასუფეველსა, რომელ აღმითქუ ჩუენ.

ტბად იგი მიზეზი შფოთთა და კაცისკლვათად, განჯმა ლოცვითა შენითა, და რომელთა ესმა, განკვრვებად დაეცა, ზარი განჰჳდა და ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო ღმრთის-მსახური იგი მთავარი შიშითა და სიხარულითა აღივსო და წარემართა ხილვად სასწაულთა მათ და ნიშთა და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მისთანა და გარემო სანახებნი მათ არეთანი.

რომელთაცა ასმოდა დიდი ესე საკვრვებებად, მყის კრებული დიდი შეკრბა ადგილსა მას, სადა იყვენით წმიდანნი ეგე გარნა შენ, წმიდაო, უცხო იყავ ზუაობისაგან, და

იტყვით: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუცა ჩუენითა რადთმე ძალითა ქმნილ იყვნეს სასწაულნი ესე, არამედ რამეთუ აღიდა ხატი პირისა თვისისაჲ ქრისტემან ღმერთმან, რადთა თქუენ გრწმენეს, ვითარმედ არა ტყუვილ და ამაო არიან საქმენი ესე, რომელთა თქუენ ჰხედავთ“.

ლოცვით და ლიტანიით აღხვედით რად ბორცუსა, ბრძანებითა მთავრისაჲთა ველოან ქმნეს ადგილი იგი და სხუანიცა მთავარნი მოიწინეს რად გარემოთა ადგილთანი, თვთოეულნი კუალად გიქებდნენ სხუათა მათ სამონასტროთა ადგილთა, მოწლედ შეგივრდებოდენ და გაწუევდენ, რადთა მუნ აშენებდეთ.

ლოცვითა და გალობით განათიეთ ღამე იგი და განთიად მოიგიკითხნეს წმიდანი ეგე და სიხარულითა წარვიდეს სახიდ თვისა. ხოლო ადგილსა მას ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი შეპყრობილ იყვნეს. ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

იწყეთ რად ძიებად ადგილისა, აღსაშენებლად ეკლესიისა გენება შენ, რადთა ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა აღაშენო, გარნა იქმნა ცილობად შორის ძმათა და აღავსნეთ ორნი კანდელნი სწორითა ზეთითა და დადეთ ადგილთა მათ ცილობისათა. - კანდელი იოვანესი დადგა თვთ იოვანე მცირესა მას ღელესა, ხოლო ბორცუსა მას ზედა - წმიდამან დადევ შენ, წმიდაო სერაპიონ. და ორნივე ლოცვად დადგრომილი ევედრებოდით ღმერთსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

წმიდა-ყო ღმერთმა საშოდ შენი ყოვლადწმიდაჲ, სძალო, სიწმიდით რად დაემკვდრა მას შინა, და ჯუარსა ზედა ამალეებულმან დაბადებულნი აღამაღლნა მისთანა.

გალობა 6, ღაღადყავსა

ძლისპირი: შთახდა იონა სიღრმესა მას ზღვსასა და ღაღადებდა ღმრთისა მიმართ ვედრებით: აღმომიყვანე დანთქმისაგან, უფალო, ხოლო მე, ქრისტე, შენდა მიმართ ვღაღადებ: უგულებელს-ჰყავ ბრალთა ჩემთა სიმრავლჲ.

განთიადისას იხილეთ დავსებულად კანდელი შენი, ხოლო კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა ვიდრე შუა სამხარამდე. რამეთუ ესე განგებულებაჲ იყო საღმრთოდ, რადთა არა სწრაფით, არამედ ფრიად შუენიერად ჟამსა თვისსა აღეშენოს საყდარი მაღალსა მას ადგილსა.

ესე რა იხილეთ, ყოველთა დაამტკიცეთ, რადთა მუნ იწყონ შენებად ეკლესიისა. ხოლო შენ ჰრქვი ძმასა თვისსა თაფლმწოთოლვარითა მით ენითა: „ძმაო იოვანე, ღმერთმან გაჩუენა საკვრველი ესე დიდებული, რამეთუ იხილნა ნაკლულევანებაჲ გონებისა შენისაჲ, გარნა ესე უწყოდე, ვითარმედ შემდგომად მცირედისა ადგილსა ამას აღეშენოს საყდარი შუენიერი“.

განამზადეთ რად ადგილი იგი, შეემატებოდა რიცხუსა ძმათასა, რამეთუ მოიზიდვიდა სახელ-განთქმულობად შენი, კაცო ღმრთისაო სპირიდონ, და სახედ მდინარისა ირწყვებოდეს ტკბილთა მათ სიტყუათა შენთაგან.

ვითარცა ახალსა მოსეს გებრძანა ახლისა ისრაელისა წინამძღურებად, და იწყეთ რად შენებად ეკლესიისა, დადეთ საფუძველი ადგილსა მას, იოანეს გამორჩეულსა. და შეწევნითა მთავრისადათა სრულ იქმნა ეკლესიად შემდგომად სამისა წლისა და შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეკგუნდა ჟამსა მას, და აღჰმართეს მას შინა ცხოველს-მყოფელი ხატი ფერის-ცვალებისად და სენაკებიცა იშენეს ძმათა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვნებათა დაფარულისა და ცხადთა მკდომისა ძლიერად მბრძოლო, სერაპიონ სანატრელო, კადნიერებად გაქუს ღმრთისა მიმართ, ითხოვე შეწევნად, რადთა განვერნეთ მტერსა სულთა ჩუენთასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ახლად ყრმად გვშევ ჩვენ უწინარესი საუკუნეთა უჟამოდ, მამისა თანა მოსაყდრე, ღმრთისმშობელო, რომელმან ჯუარისა მიერ ცოდვთა დაძულებული კაცნი განაახლნა და ღმრთეებასა იზიარნა.

- შემდგომად „ლაღადაყავსა“ (VI გალობისა):

კონდაკი: სიწმიდისა სულისათა საღმრთოდ შეიჭურვე, დაუცხრომელად ლოცუა ვითარცა ლახვარი ხელთ-იდევ კადნიერად განგმირე ეშმაკთა ბანაკი საკვირველთ-მოქმედო მამაო სერაპიონ, ევედრე ღმერთსა დაუცხრომელად ჩუენ ყოველთათვის.

იკოსი: ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერაპიონ, გამოსჩნდი შენ მთავრად მონაზონთა და ქალაქმყოფელ უქმთა უდაბნოთა და ჰკურნებ უძღურებისა ჩუენისა ვნებასა სარწმუნოებით მაგლობელთა შენთასა: გიხაროდენ, აღმოსავლეთისა ვარსკულავო ყოვლადბრწყინვალეო, და მონაზონთა განმანათლებელო ლამპარო და მწყემსო, გიხაროდენ, კეთილმოქმედებითა მმარხველთა სიქადულო და ყოვლისა სოფლისა სახარულევანო ბრწყინვალეზაო, მეოხ-გუეყავ მაგლობელთა შენთა.

გალობა 7, კურთხეულარსა

ძლისპირი: სიყუარულითა ყოველთა მკსნელისადათა არად შეჰრაცხეს ყრმათა რისხვად მძლავრისა ღმრთის მოძულისადა, და ცეცხლსა შეთხეულნი არა შეიწუნეს და ესრეთ ღაღადებდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

შემოკრბა კრებული დიდძალი ძმათადა, რამეთუ მადლი სულისა და სახელგანთქმულება შენი მოიზიდვიდა ყოველთა, რამეთუ იტყვს უფალი, ვითარმედ „სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე მათ შორის“. რადოდენ უფროდს მრავალთა თანა შეკრებულთა ღმრთის-მსახურებისათვის?

მოგცნა თქვენ ყოველნი საკმარნი: ჯორები და კარაულები ღმრთის-მსახურმან გიორგი და რაოდენი უკმდა სიმრავლესა ძმათასა და სოფლებნიცა. ხოლო შენ განაჩინე წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირწყვებოდეს საღმრთოთა მადლითა.

მრავალთა იწყეს რად მიბაძვად შენდა, ვითარცა პირველ კარავსა მოსესსა თუალთა და მარგალიტთა და სხუათაცა მათ ნივთთა აღშენებისათვის კარვისა, ეგრეთვე სახედ ძალისაებრ აჩუენებდეს შესაწირავსა ახლისა ამის კარვისა, რომელ არს ეკლესიად ქრისტესნი.

ყოველნი აღივსებოდით რად საღმრთოთა მადლითა, ეშმაკთა გუნდნი აღსჭრენით, ღმერთშემოსილნი, ვითარცა ახოვანთა მკედართა მაცხოვრისათა შრომათა მაკვლითა, და დასწვთ ცეცხლებრ ბანაკნი მათნი საკუმილითა ლოცუათა თქუენთადათ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დღესასწაულობს ერი შენი, ნეტარო, კსენებასა შენსა და ღაღადებს შენდა მომართ: მოგუხედენ, მამაო სანატრელო, ზეცით-გარდამო და გვკსნენ სოფლისა ღელვათაგან დაუნთქმელად, რომელთა ესე გუასწავე გალობად: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მადლსა ლოცვისა შენისასა, წმიდაო, ვიქადებთ პირითა და სულითა, დიდებულო, რამეთუ შენ მიერ განსაცდელთაგან და ღელვათა, და მძიმეთა ურვათა, და ცოდვისა ვნებათაგან ვიკსნებით ყოველნი.

გალობა 8, აკურთხევედითსა

ძლისპირი: ყრმანი ბაბილონს შეუწველნი პირველად სახე გექმნეს შენ, ქალწულო დიდებულო, რაჟამს შენგან იშუა ცეცხლი ღმრთეებისად და დაგიცვა შენ უვნებელად, უბიწოდ, ყოველი ერი მარადის გაკურთხევს შენ.

აღმოგაბრწყინვა ქრისტემან, ვითარცა რად ელვა-ცისკროვნი მნათობი წმიდისა ეკლესიისა, რადთა, ვითარცა მთიები, ბრწყინვიდე პირსა ყოვლისა სოფლისასა და ბაძვად საღმრთოდ მოქალაქობისა განაწყობდე გულსა მორწმუნეთასა.

ჰხედვიდენ რად საღმრთოსა მას მოქალაქობასა შენსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა და ნიშთა და სასწაულთა დიდთა, შენ მიერ აღსრულებულთა, შემდგომად სიკუდილისა შენისა აღწერნეს მოწაფეთა შენთა.

წარმოგივლინნა მიქაელ, მოძღუარმან შენმან, ორნი მოწაფენი და მოგწერა ებისტოლე, ნეტარო სერაპიონ, და ძმასა შენსა იოვანეს მსწრაფლ მისლვად წინაშე მისსა, რამეთუ იცოდა ჟამი განსლვისა თვისისად, რადთა იხილნეთ ურთიერთას და რადთა ზედამიწევნით ცნათ, თუ ვითარ იქმნა შენებად ზეცით უწყებულისა მის ადგილისად.

ვითარცა იყავ ბრძანებასა მოძღურისა მორჩილ, მსწრაფლ მიხვედ თვსით ძმითურთ, და იხილეთ რაჲ ურთიერთას დიდმან მიქელ და სერაპიონ, განიხარეთ, ვითარცა შეჰგავს, მხიარულებით და ცრემლითა თანაადრვით ჰმადლობდეს ღმერთსა, და მიიღეს კურთხევაჲ ყოველთა ძმათა ურთიერთას

ვაკურთხევთ მამასა და ძესა და წმიდასა, სულსა უფალსა.

გკითხვიდა რაჲ დიდი მიქაელ წარმართებასა საქმისასა, იწყე პირველითგან და ყოველი წარმოუთხარ, სასწაულთა მათთვს დიდთა, და თუ ვითარ თანაშემწე თქუენდა იქმნა გიორგი ჩორჩანელი და ყოველივე მოწევნული თქუენ ზედა, ხოლო ესმა რაჲ წმიდასა მას, აკურთხებდა მთავარსა მას და ადიდებდა ღმერთსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იქსენ კაცობრივი ბუნებაჲ წყევისაგან შობითა შენითა, ქალწულო უბიწოო, რამეთუ შევ მხოლო კურთხეული, მაკურთხეველი ჩუენი, აღმავსებელი მადლითა ცათა და ქუეყანისა.

ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.

- **შემდგომად მაკურთხევდითსა“ (VIII გალობისა): - „ჴუპატიოსნესსა“.**

გალობა 9, ადიდებდითსა

ძლისპირი: ჯერ-არს დუმილი, ვინადთგან ვერ შეუძლებთ ღირსებით ქებად შენდა დღეს, ღმრთისმშობელო, ხოლო არავე დავდუმნეთ შიშისათვს, არამედ მსგავსად უძღურებისა ჩუენისა, შევსწიროთ შესწამად, რომლითა გადიდოთ შენ.

განგებითა საღმრთოდთა იყო კედელსა ეკლესიისასა რტომ ბადაძსად მრავალჴამეული, და აღილო კელითა თვსითა მამამან მიქაელ და მოგცა რაჲ, წმიდაო, გრქუა: „შვილო, დანერგე ესე მახლობელად ეკლესიისა და, უკუეთუ განედლდეს, წარვედ და აშენებდი გულსმოდგინედ“.

დაჰნერგე რაჲ ქუეყანასა, შემდგომად მცირედისა განედლდა და რტოგარდაფენით ქადაგებდა დიდებულსა მას სასწაულსა. და ვითარცა იხილეს ყოველთა, განკვრდეს და ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა განისმა სასწაული ესე გარემოთა მათ უდაბნოთა, ყოველნი განჰკრთეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, წმიდათა თვსთა მიერ მოქმედსა საკვრველებათასა.

ზეციურ ძალთაგან გესმა ჳმად სანატრელი, მსახურო ღმრთისა მადლისაო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და კაცსა ზეცისასა გიწოდდა მეუფჴ ცათაჲ ქრისტჴ, და მიხუედ სიხარულით და უფლისა თანა იხარებ საუკუნოდ.

პატოსანთა საკმეველთა კეთილ-სულნელებამან აღავსო საყუდელი შენი, ღირსო მამაო, და მხიარულებით ანგელოზთა კრებულმან შეიწყნარა სული შენი უბიწოდ, რომელთა შორის იშუებ, ღმერთშემოსილო.

ვერ შემძლებელ-არს ენაჲ კაცობრივი მითხრობად ღუაწლთა შენთა, წმიდაო სათნოო ღმრთისაო, რამეთუ განვლე სოფელი ესე ღირსად, დიდებულო, და აწ შუებასა სამოთხისასა შეერთებული, ანგელოზთა თანა იხარებ, და ჰსუფევ ქრისტეს თანა უკუნისამდე.

დაუდგინა რაჲ ძმასა შენსა სხუასა ადგილსა შენებაჲ მონასტრისა, მიანიშნა ადგილი იგი და ყოველი ყოფადი წინაღსწარმოგითხრათ და წარმოგზავნათ ცრემლითა აღსავსენი უფროდსა, რამეთუ არა ესვიდით კუალად ხილვასა მისსა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მოიწინეთ რა დიდსა მას უდაბნოსა კლარჯეთისასა ოპიზას, მოგეგებნეს თქუენ მამანი და სიხარულით მადლობდეს ღმერთსა, მას ევედრე აწ, ღირსო, ყოვლისა სოფლისათჳს მშჯდობით დაცვაჲ და ერსა ჩუენსა – ძლევაჲ და დამტკიცებაჲ მართლმადიდებლობისაჲ ქრისტეს ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობაჲ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იტჳრთავ უკვე მტჳრთველსა ყოველთასა წმიდათა მიერ ჳელთა შენთა, რომელსა ევედრე, წმიდაო, უცხოდასაგან ბოროტის მოქმედებისა უვნებელად ცხორებაჲ ჩუენდა.

- **შემდგომად „ადიდებდითსა“ (IX გალობისა): - „ღირს არსი“ - არ იგალობება.**

„განმანათლებელი“ გამოსჩნდი შენ, ვითარცა სახჭ ბრწყინვალჭ და შეიწყნარე სული წმიდაჲ, ღირსო მამაო, რომლისა მიერ თუალნი სულისანი ხილვითა საღმრთოდთა განაბრწყინვენ, და განათლებული ხედვედი რაჲ მომავალთა, ყოველსა ყოფადმდე იტყოდნი უბიწოებითა საღმრთოდთა, ხოლო აწ მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, წმიდაო სერაპიონ. (2-გზის)

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმშობლად ჳემმარიტად აღვიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჳშევ გამოუთქმელად დამჳსნელ ჯუარითა სიკუდილისა და თჳსდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა გაქებთ შენ, ქალწულო.

- **„ყოველი სული“** - იგალობება.

- **„აქებდითსა“** ზედა დასდებლები - **მუხლი 6. ჳმაჲ 8. ჳ, სასწაული**

- ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერაპიონ, აჳა ესერა ჯერჩინებითა ღმრთისაჲთა გამობრწყინდი, ვითარცა ახალი მნათობი და მოძღუარი და მასწავლელი, და ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოანე და შემდგომად ჰავლე თებელი და დიდი ანტონი,

მაკარი, ეფთჳმი, საბა და გერასიმე, და ყოველნი მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწროდ და საჭირველი გზად, მიმეყანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთმოძღვარ და შემოქმედ ღმერთი არს, მას ევედრე აწ შეწყალებად სულთა ჩუენთა.

- ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერაპიონ, ვითარცა იყავ წმიდად იგი მდაბალ და აღუზავებელ, ტკბილითა და დაშნითა კელითა იხილვებოდი მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყავ სხუათა თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა შენებისათა და ფრიად შემკულ წესითა ხუროობისადათა. ხოლო გიხილა ვინმე ზუავმან და სილადითა შეპყრობილმან, და იტყოდა: „აჰა დიდი და განთქმული სერაპიონი, ვითარცა უსიტყუ და უკმო იხილვების და რადთურთით ესევეითართა პატივთა ყოვლად არა ღირს არს“. ამას რა იტყოდა შურითა საეშმაკოთა აღსავსე იგი, ეჰა საკვრველებათა შენთა ქრისტე, რამეთუ წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უკმოდ მდებარჯ და გარდამოაგდო ენად განსივებული, საშინელთა პეროოდა და გორვიდა. გარნა შეინანა საწყალობელმან და ტკბილი ეგე მამად ევედრებოდი რად ღმერთსა, მის მიერ მყის დასცხრა ფრიადი იგი სასტიკებად ენისა მისისა და რომელთა იხილეს, განკვრევებულნი ადიდებდეს ღმერთსა. მას ევედრე აწ შეწყალებად სულთა ჩუენთა.
- ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერაპიონ, განიპოხნე სიბერითა კეთილითა და ფუფუნებულ და ჩჩვლ იქმენ რად საღმრთოთა ცნობითა, მოუწოდე კრებულსა მას ძმათასა და მრავალი წარმოუთხარ წმიდაო, ოქრონაკადულით პირით შენით მოწაფეთა თვსთა და კუალად ჰრქვ: „მე, ძმანო, აჰა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა, ხოლო თქუენ იძიეთ მამად და წინამძღვარი, რომელი შემძლებელ იყოს მწყსად თქუენდა, ვითარცა შვილთა და ძმათა“.
- ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერაპიონ, შეჰვედრა სამწყსო იგი თვსი გიორგის, კაცსა კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალესა და ტკბილსა სიტყვთა და საქმიითა, და განუჩინე რად ყოველნი, რადოდენი უკმდეს მნენი ეკლესიისანი, და განაწყე კრებული იგი განგებითა საღმრთოთთა და ფრიად შუენიერითა, ეზიაროე ჳორცსა და სისხლსა ქრისტესსა და შეჰვედრე სული თვსი კელთა ღმრთისათა, რომლისა სურვიელ იყო მარადის. მას ევედრე აწ შეწყალებად სულთა ჩუენთა.
- ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერაპიონ, სარწმუნოებით შემოკრებულნი ქართველნი, ვითარცა მოღუაწესა დიდსა პატივს-გცემთ შენ, და სარწმუნოებითა გიღაღადებთ: ჰ, წმიდასა ანტონს მიმსგავსებულო მეუდაბნოეო, რომელი სიხარულითა განხუედ უდაბნოდ უალად, და მკეცთა-წილ დაამკვდრენ კაცნი ანგელოზთა სწორნი, მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, რადთა გუაცხოვნეს ჩუენ.
- ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერაპიონ, გამოსჩნდი შენ კანონ მონაზონთა და სიქადულ მართლმადიდებელთა, დამატკბობელ და ბრწყინვალე მნათობ ყოვლისა სოფლისა და უძღურთა უგამოცდილეს და პატიოსან მკურნალ, რამეთუ არა შეშინდი შიშისაგან მაცთურისა მტერისა და მშვილდნი და ისარნი ეშმაკთანი შემუსრენ და მძვნვარენი საფრჯენი მათნი მოაუძღურენ საღმრთოთა სწავლითა შენითა. ჰ, ნიჰთა შენთა მოცემულთა, ნეტარო, რომლისა მიერ ბოროტთა ეშმაკთა არცხვინე და განაბრწყინვენ დიდებად ქრისტესი.

- **„დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“**. დავბეროთ საყვრსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ყოვლადქებულისა მოძღურისა ჩუენისასა. შემოკრებით ჟ, მორწმუნენო ქართველნო და შესწმითა სულიერითა შევამკობდეთ და ვაქებდეთ სანატრელსა მამასა ჩუენსა, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენთა ჩუენდა და უგალობდეთ: უძღურნი - სენთა მკურნალსა, ხოლო ჭირვეულნი - მკსნელსა, შეცოდებულნი - მკურვალესა მეოხსა, მწუხარენი - განმაცხრობელსა და მავალნი - მოგზაურსა, მენავენი - მმართველსა და ყოველნი ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოსა სარწმუნოებით ვადიდებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყავ, ღმერთშემოსილო სერაპიონ, რადთა ლოცვათა შენთა მიერითა თხოვითა შეგვჭურნეს ჩუენ უფალმან ღმერთმან ძალითა თვისითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენთა ზედა და გუაცხოვნეს ჩუენ. **ჴმაჲ 5**

„აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“. ღმრთისმშობლისა, დემეტრე ქართველთა მეფისა, ბაგრატიონისა.

ღმრთისმშობელი და ყოვლადპატიოსანი,

დედაჲ ქალწული, შუენიერი შრომანი,

მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი,

შენგან იშუების, მეფე გვრგვინოსანი

და მას ჰმონებენ მეფენი მრავალყმოსანი.

- **„დიდებამალაიანი“** - იგალობება.

- **ტროპარი ღირსისა**: „უდაბნოსა მოქალაქედ და ჯორცითა...“ (ჴმ 1).

- **„დიდება“ „აწ და“** - ღმრთისმშობლისა „ადდგომის განსატევებელი“ (ტროპარი ხმის მიხედვით): „გაბრიილ გილადაჲ ქალწულსა გიხაროდენ, ხოლო ხმასა“.

I, III და VI ჟამნებზე:

- **ტროპარი**: ღირსისა.

- **კონდაკი**: ღირსისა.

წმ. იოანე ოქროპირის

საღმრთო ლიტურგია:

- **„გამომსახველობითი ანტიფონები“** - **„ნეტარებების“** - გალობისას ჩაერთვის **„მომიხსენენი“** - 8 მუხლად:
- ღირსის III გალობიდან - 4 მუხლი (ძლისპირით).

- ღირსის VI გალობიდან - 4 მუხლი, თავისი „დიდება“ „აწ და“ - თი.

სამოციქულო - ღირ. - გალ. 213 დას. V, 22 - VI, 2.

სახარება - მთ. 43 დას. XI, 27-30.

შესვლად.

ტროპარი - ღირსისა

კონდაკები - „დიდება“ - ღირსისა

„აწ და“ - „სასო და შესავედრებლო...“

„წარდგომა“: „პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“. (ჯგა 7).

მუხლი: „რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთჳს, რომელი ესე მომაგო მე“.

„ალილუია“: „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“. (ჯგა 6).

მუხლი. „ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი და თესლი წრფელთა იკურთხოს“.

განიცადე: „საკსენებლად საუკუნოდ იყოს მართალი ჰამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის“.

შეადგინა: თინათინ მჭედლიშვილმა.